პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 ნოემბერი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 260 (14256)

საბრძოლო პროგრამა

ПРАВДА

3 ნოემბრის მოწოდება

30-31 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სოფლის მეურნეობის საკითხებზე XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მომავალშიც განუხრელად ახორციელებდნენ პარტიის პოლიტიკას და იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომლებიც შეიმუშავეს XXIII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმებმა. პლენუმის მონაწილეებმა მოიწონეს და დროულად, კომუნისტური შენებლობის მოთხოვნების შესაბამისად ცნეს წინადადებანი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ძირითად მიმართულებათა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ შეიმუშავა და ჩამოყალიბებული იყო ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელიც ასრულებს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი წარმატებები მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ შენებლობაში. სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქცია 1966-1968 წლებში თითქმის 30 პროცენტით იზრდება. შწყობრში დგება ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო და ობიექტი. გადაეჭრა მთელი რიგი აქტუალური ტექნიკური პრობლემები. ამ წლებში განხორციელდა აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა. წარმატებით ვითარდება სახალხო განათლება და კულტურა. დიდი წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა მეცნიერებმა, მთელმა ჩვენმა მეცნიერებამ.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობა. ახლოვდება კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი — დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკები — ყველა პროფესიისა და ასაკის ადამიანები შრომითს საჩუქრებს ამზადებენ ამ დღისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, 1970 წლის 7 ნოემბრის ხუთწლედის შესრულებისათვის ჩაება მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი.

ასრულებს რა XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, პარტიამ განახორციელა დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ გაიშალა მიწების მელიორაციის სამუშაოები, ხავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება გადასვლამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალ პოლიტიკაზე, რომელსაც საფუძველად უდევს მტკიცე გეგმების დადგენა და მარცვლის ზეგეგმითი გაყიდვის მატერიალური სტიმულირება. სოფლად განხორციელდა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი. ყველა ამ ღონისძიებამ, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა დიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თავდადებულმა შრომამ, აგრეთვე ქალაქის მშრომელთა დახმარებამ სოფლისადმი ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას. მისი მთავარი დარგების — მემინდვრეობისა და მეცხოველეობის აღმავლობას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას. უკანასკნელ წლებში ამ ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა პერიოდში.

1968 წელს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი წარმატებები მოიპოვეს. მარცვლის საერთო მოსავალი 165 მილიონ ტონაზე მეტს მიაღწევს. შესყიდვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, სახელმწიფო რესურსებს შეეფასება 68 მილიონ ტონაზე მეტი მარცვალი. მოყვანილია ბამბის, ჩაქის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. შარშანდელზე მეტია წარმოებული და შესყიდული მეცხოველეობის პროდუქტები.

ამასთან ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მთელი რიგი პროდუქტების წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების მხრივ სოფლის მეურნეობამ ჯერ ვერ მიაღწია იმ დონეს, რომელიც სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ამ ხუთწლედისათვის. ზოგიერთ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში ჯერჯერობით დაბალია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპები, მთელ რიგ მეურნეობებში სუსტად მიმდინარეობს მუშაობა სამარცვლე და სხვა კულტურების მოსავლიანობის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის არასაკმარისი ტემპების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ ნელა ხორციელდება მიწების ქიმიზაცია. მელიორაცია და კომპლექსური მექანიზაცია, სოფლის მეურნეობაში სუსტად ინერგება მეცნიერების უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელებს განახორციელონ ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა რეზერვის უკეთ გამოყენებისათვის. სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარება იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადებში ბევრად გადავჭარბოთ ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს, უნიშვნელოვანესი პოლიტიკური საერთოპარტიული და საერთოსახელმწიფოებრივი ამოცანაა. ყურადღების ცენტრში კვლავ უნდა იყოს მარცვლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების საფუძველზე, მეცხოველეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება, დაუცხრომელი ზრუნვა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი დონის მიღწევის კონკრეტული გზები და აღნიშნა, რომ ეს უნდა უზრუნველყოთ ახალ ტექნიკურ საფუძველზე სოფლის მეურნეობის ხელახალი შეიარაღების გზით. უახლოეს წლებში ბევრად უნდა დავაჩქაროთ მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ეფექტიანი ქიმიური საშუალებებისა და მიკრობიოლოგიური სინთეზის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპები. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება სამელიორაციო სამუშაოთა იმ პროგრამის შესრულებისათვის, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა დაამტკიცა, უზრუნველყონ მიწების, წყლისა და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლად მშენებლობის გაუმჯობესებას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა მომავალ ხუთწლეულში შევინარჩუნოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მტკიცე გეგმების პრინციპი, აგრეთვე მარცვლის ზეგეგმითი შესყიდვის სტიმულირების მოქმედი წესი გავავრცელოთ ზოგიერთ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. დასახულია ღონისძიებანი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეკონომიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებას როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარების აუცილებელ პირობას. უნდა გავაძლიეროთ უურადღება სპეციალისტების მომზადებისადმი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, აგრეთვე მასობრივი პროფესიების კადრების, და უწინარეს ყოვლისა მექანიზატორების მომზადებისა და გადამზადებისადმი, ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავე მუშაკთა ყოველნაირად დაწინაურებისადმი.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ სოფლის მეურნეობის მშრომელებში პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის თანმიმდევრულად გაუმჯობესებისათვის. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოგვიწოდა ღრმად განვუმარტავდეთ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს პარტიის პოლიტიკასა და გეგმებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში და დავრაზმოთ ისინი დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის შესახებ და მიიღო დადგენილება, რომელშიც ერთსულოვნად მოიწონა და სავსებით დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას. პლენუმმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ მთელი ჩვენი პარტია, მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი თავიანთ საქმიანობაში საერთაშორისო ასპარეზზე თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებენ ლენინურ პოლიტიკას სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, კომუნისტური მოძრაობის, მთელი რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების შეკავშირებისათვის საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკას. ამ კურსს, რომელიც ღრმად და სავსებით გამოიხატა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში და კიდევ უფრო განვითარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, განუხრელად უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი.

მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარეობს მწვავე კლასობრივი ბრძოლა. იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის ძალები, რომლებიც ცდილობენ შეაფერხონ ისტორიული განვითარების მსვლელობა, აწყობენ სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურებს, ეწევიან გააფთრებულ იდეოლოგიურ ომს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ, ცდილობენ გააქტიურონ ძირგამომთხრელი მუშაობა სოციალისტური თანამეგობრობის შიგნით, ჩამოაგდონ განხეთქილება ცალკეულ სოციალისტურ ქვეყნებს შორის, შეასუსტონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ამერიკის იმპერიალიზმის დამპყრობლური ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა რევანშისტული ხრიკები და ნეოფაშიზმის ზრდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იმპერიალიზმის მიერ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უამრავი ხელყოფა — ყოველივე ეს ჯაჭვია იმპერიალიზმის ბრიკებისა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას, ამწვავებს საერთაშორისო დაძაბულობას.

უკანასკნელ ხანს იმპერიალიზმის გააფთრებული იერიშების ობიექტი იყო ჩეხოსლოვაკია, სადაც შინაგანი კონტრრევოლუციისა და საერთაშორისო რეაქციის ძალები საფრთხეს უქმნიდნენ სოციალიზმს და ცდილობდნენ ჩამოშორებინათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სოციალისტური თანამეგობრობისათვის.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, სამოკავშირეო ვალდებულებებით ხელმძღვანელობენ, დაეხმარნენ მოძმე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს სოციალისტურ მონაპოვართა დაცვაში. ღონისძიებანი, რომლებიც ერთად განახორციელეს მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, მათ შორის სამხედრო დახმარება, სწორი და დროული იყო, ჩაშალა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზ-კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რეაქციის ზრახვები, ეს იყო ხებისადმი ძმური ინტერნაციონალური დახმარება..

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიების, მთავრობებისა და ხალხების ურთიერთ ნდობა, მიზნად ისახავს შეიქმნას ჩეხოსლოვაკიის უშიშროების, მის სოციალისტურ მონაპოვართა უზრუნველყოფის მტკიცე გარანტიები, საიმედოდ დაცულ იქნას მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესები იმპერიალიზმის, რეაქციისა და რევანშიზმის ძალების ხელყოფისაგან.

საბჭოთა კავშირის ხალხი, მთელი ჩვენი ხალხი სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ჩვენი პარტია და ხალხი დარწმუნებული არიან, რომ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში დაღვრილი სისხლით შედუღაბებული ძმური თანამშრომლობის, მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის ტრადიციული ურთიერთობა წარმატებით განვითარდება და განმტკიცდება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა და ჩვენი სოციალისტური ქვეყნების ინტერესების ღრმა ერთობის საფუძველზე.

ახლანდელ პირობებში განსაკუთრებით დამაჯერებლად დასტურდება ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ის დასკვნების სისწორე, რომ საჭიროა გადადგეს კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სიფხიზლე იმპერიალიზმის იმ ვერაგული ტაქტიკის პასუხად, რომელსაც მიმართავენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი პარტია და ხალხი იმპერიალისტური რეაქციის ხრიკებს, მის იდეოლოგიურ დივერსიებს უპირისპირებენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ურყევ ერთგულებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მონოლითურ შეკავშირებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი საბრძოლო პროგრამით აიარაღებენ ყველა კომუნისტისა და ყველა საბჭოთა ადამიანის მოქმედებას.

ჩვენი ხალხი თავდადებით ასრულებს პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური შენებლობის პროგრამას, იპყრობს ახალ მწვერვალებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. პატრიოტული სიამაყისა და შთაგონების გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავ გამარჯვებას კოსმოსის ათვისებაში, სამშობლოს მამაცი შვილის კომუნისტი კოსმონავტის, კოსმოსური ხომალდ „სოიუზ-3“-ის მეთაურის გიორგი ბერეგოვოის გმირობას.

მაღალი სულიერი აღმავლობის ამ გრძნობებით ეგებება საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის 51-ე წლისთავს, რითაც გამოხატავს მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც განუხრელად იაროს წინ, განახორციელოს მშობლიური ლენინური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, განამტკიცოს პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძალიერება ჩვენი დიდი სამშობლოსი, რომელიც ყველა ხალხის ნათელი მომავლის — კომუნიზმისათვის ბრძოლის ავანგარდშია.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1968 წლის 10 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1968 წ. 4 ნოემბერი.

მასობრივი ტირაჟით

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სოფლის მეურნეობის საკითხებზე XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

ბროშურაში გამოქვეყნებულია აგრეთვე 1968 წლის 31 ოქტომბერს მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება. (საკდესი).

პარტიის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებებს ერთხმად იწონებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები

ახალი ჰორიზონტი

მიწათმოქმედების მუშაკებს გვახარებს ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ოქტომბრის პლენუმის დირსშესანიშნავ გადაწყვეტილებებს შრომელი კომუნისტები გულდასმით გავეცანით. მათში დასახულია ახალი ჰორიზონტი მომავლისათვის. ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულება ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა წინასაოქტომბრო პატაკის მშობლიური პარტიისა და სამშობლოსადმი.

ჩვენთან მთავარია მევენახეობა. ადრე კი ბევრ ისეთ დარგსაც მივდევდით, რომლებიც ზარალიანი იყო. შიდასამეურნეო სპეციალიზაციის გამოყენებით სამუშაოთა მექანიზაციით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს ვაღწევთ. წელს ნაცვლად 3.460 ტონისა 3.509 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მივყიდეთ სახელმწიფოს და დიდი შემოსავალი მივიღეთ.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით კვლავაც ისე ვიშრომებთ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებაში საპატიო წელილი მივიტანოთ.

ვ. მაუაშვილი,
გურჯაანის რაიონის შრომის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ტექნიკა და შრომის მაღალნაყოფიერება

სამუშაოთა მექანიზაცია დღეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში გადამწყვეტია. ამ საკითხს დიდი უურადღება მიექცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე.

ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენების მიზნით შარშან სიახლე დაენერგეთ. ტყვიაკის ზონის კოლმეურნეობებსა და „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული განყოფილების გადაწყვეტილებით შეექმენით სპეციალიზებული მექანიზებული რაზმი, რომელიც 8 კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას. ამ კოლმეურნეობებში მექანიზებული სამუშაოები სრულდება რაზმის საკუთარი ძალებით, თავისი ტექნიკით, შხამქიმიკატებით, სპეციალისტებით და მუშახელით. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. რაზმში მაღალია შრომის დისციპლინა, წარმოების კულტურა და სხვ. ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ მეტი, მაღალხარისხოვანი და იაფი პროდუქტების წარმოებას.

მომავალში ამ მხრივ კიდევ უფრო გავაცხოველებთ მუშაობას.

გ. აბალაკი,
„საქსოფლტექნიკის“ გორის განყოფილების მმართველი.

კლანტაციების სიუხვე

ჩვენმა კოლმეურნეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი თავიანთ სამოქმედო პროგრამად მიიღეს. ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ჩვენმა მეჩაიეებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს. იაფი პროდუქტების უხვად წარმოება განაპირობა შრომის სწორმა ორგანიზაციამ, ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებამ და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებამ.

მთავარი საზრუნავი კვლავ ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებაა. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვით ყოველი ჰექტარი პლანტაცია უფრო მეტ მოსავალს მოგვცემს.

ჩვენი აზრით, კვლავაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საირიგაციო სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულებას. ჭაობების დაშრობის გზით ახალი მიწების ათვისება კოლხიდაში მთელი ძალით არის გაშლილი. მომავალში ამ საკითხს უფრო მეტი ყურადღება მიექცევა. მეცნიერების ვალია გულდასმით შეისწავლონ დაშრობილი ნიადაგები, სოფლის მეურნეობის მუშაკებს მისცენ სწორი დასკვნები იმის შესახებ, თუ სად რა კულტურის წარმოებაა ხელსაყრელი.

პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის ნატანებელი კოლმეურნეობა კვლავაც თავდადებით იშრომებენ.

გ. წითლიძე,
მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სურათზე: თბილისის გაზის აპარატის ქარხნის მოწინავე ამწყობი გ. მაღლაკელიძე, რომელიც წინასაოქტომბრო შრომითს ვახტზე დგას და დღიურ საწარმოო დავალებას გადაჭარბებით სრულებს. მის მიერ გამოშვებული პროდუქცია საუკეთესო ხარისხისაა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა მთავრობის გაანცხადება

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პარიზის მოლაპარაკებაზე მიღწეულია შეთანხმება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 1968 წლის 1 ნოემბრიდან შეწყვეტენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაბომბვას ჰაერიდან, სრულს ზღვიდან და არტილერიის ცეცხლს, აგრეთვე ყველა სხვა მოქმედებას მის წინააღმდეგ, რაც კი დაკავშირებულია ძალის გამოყენებასთან. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, საგონის ადმინისტრაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა სხდომები ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების გამონახვისათვის.

ხაზგასმით მთავრობას მიაჩნია, რომ პარიზში მიღწეული შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი წარმატებაა ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე. ეს უწინარეს ყოვლისა არის შედეგი მოძმე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, მთელი ვიეტნამელი ხალხის ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლისათვის სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის, სოციალისტური სახელმწიფოების, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით. გაიმარჯვა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გარშემო შეკავშირებული ვიეტნამელი ხალხის მამაცობამ და სიმტკიცემ და ინტერნაციონალურმა სოლიდარობამ მის სამართლიან გმირულ ბრძოლასთან.

ვიეტნამის ამბების მთელი მსვლელობა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პარიზის მოლაპარაკების პირველი ეტაპის დადებითი შედეგები ცხადყოფენ, რომ ერთადერთი გამოსავალი აგრესიული ომიდან არის მხოლოდ და მხოლოდ სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და მის წინააღმდეგ სხვა საომარი მოქმედების შეწყვეტა.

პარიზში მიღწეული შეთანხმება ნიშნავს, რომ ამ ფაქტს სულ უფრო აღიარებენ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც გამოიხატება, კერძოდ, იმ წრეების მოქმედების კურსით, რომლებიც პოლიტიკურ რეალიზმს იჩენენ ვიეტნამის საკითხისადმი მიდგომაში და ილაშქრებენ ომის მოტრფიალე იმ ყველაზე აგრესიული ძალების საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის საშიში კურსის წინააღმდეგ, რომლებიც ესწრაფვიან ვიეტნამში ომის განგრძობასა და გაფართოებას. იმაზე, მოხერხდება თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების ამ პოლიტიკური ხაზის განმტკიცება, ბევრად იქნება დამოკიდებული არა მარტო პარიზის მომავალი მოლაპარაკების შედეგები, არამედ აგრეთვე მოლიანად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პერსპექტივები, რაც ყველა ხალხის, მათ შორის აგუთვე ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის საარსებო ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს, მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას, უწევს მას მთელ საჭირო დახმარებას იმპერიალისტური თავდასხმის მოსაგერიებლად. საბჭოთა მთავრობას არაერთგზის გაუსვამს ხაზი, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და მის წინააღმდეგ სხვა აგრესიული მოქმედების შეწინაშეზნოდ შეწყვეტას შეუძლია გზა გაუხსნას ვიეტნამში პოლიტიკურ მოწესრიგებასა და მშვიდობის აღდგენას.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამგვარად შეიქმნა უფრო ხელშემწყობი პირობები ვიეტნამის სამხრეთში სისხლისღვრის შეწყვეტისათვის, ვიეტნამიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მოლიანად გაყვანისა და მოლიანად ვიეტნამის პრობლემის პოლიტიკური გადაჭრისათვის.

იწყება ვიეტნამის საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტის შესახებ მოლაპარაკების ახალი სტადია. ამ მოლაპარაკებას უდიდესი ყურადღებით აღევნებენ თვალს ხალხები, რომლებიც სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან საყოველთაო მშვიდობის დაცვითა და განმტკიცებით.

მხარეთა შორის მომავალი მოლაპარაკების პროგრესი დამოკიდებულია იმაზე, რეალისტურად და სერიოზულად მიუდგება თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული ფრონტის პოზიციას, რომელიც ასახავს ვიეტნამელი ხალხის მისწრაფებებს და შეესაბამება ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს.

საბჭოთა კავშირი მუდამ იღვწოდა და იღვწის საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ეს საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც განსაზღვრა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, თანმიმდევრულად ხორციელდება და მიზნად ისახავს ხალხთა უშიშროებისა და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირი მზად არის განავითაროს მშვიდობიანი თანამშრომლობის ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, დიდ და პატარა ქვეყნებთან, რომლებიც თავის მხრივ ამასვე ესწრაფვიან. საბჭოთა მთავრობა ყოველთვის მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ყოველ ინიციატივას, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება, ხალხთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მაგრამ, ისევე როგორც წინათ, ჩვენი ქვეყანა კვლავაც საკადრის პასუხს გასცემს აგრესიორთა ხრიკებს, სოციალიზმის მონაპოვართა ხელყოფას, დაიცავს ჩვენი უშიშროებისა და ჩვენი მეგობრობის უშიშროების ინტერესებს.

თავის მეგობრებთან და მოკავშირეებთან — სოციალისტურ ქვეყნებთან — ერთად საბჭოთა კავშირი ყოველ დღეს ხმარობდა და კვლავაც ყოველ დღეს იხმარს ხალხთა მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრ

 პარტიული ცხოვრება

ქვედითი, მიზანსწრაფული

მეტი ყურადღება პოლიტიკურ მუშაობას მეცხოველეთა შორის

კომუნისტური მშენებლობის მზარდი ამოცანები მოითხოვს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალ გაქანებას. სკკპ XXIII ყრილობამ ამოცანად დაგვისახა მთელ პოლიტიკურ აგიტაციას საფუძვლად დავუდოთ მოსახლეობისათვის ფართო და სისტემატური ინფორმაციის მიწოდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

საჭიროა პოლიტიკურმა მუშაობამ მოიცვას შრომისა და ცხოვრების ყველა უბანი. ერთ-ერთი ასეთი უბანი კი მეცხოველეობაა. ამ დარგის მუშაკებთან უნდა გამოვიყენოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთელი არსენალი: ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვა, ჭგუფური და ინდივიდუალური საუბრების მოწყობა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების განხილვა და შეჯამება, კედლის გაზეთებისა და საველე ფურცლების გამოშვება, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოების გამართვა, გაზეთებისა და მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვა და სხვა ღონისძიებანი. ზაფხულობით კი ყოველივე ამას ემატება მოძრავი კინოს საქმიანობა, აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლები და სხვ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რესპუბლიკაში ასეთასობით მეცხოველეა, მაშინ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პარტიულ ორგანიზაციებს დიდი ვალი აკისრიათ მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღების საქმეში.

ფერმის წითელი კუთხე მეცხოველეთა შორის სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრია. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, სვანეთის, მესხეთის, ჯავახეთის მთელი რიგი რაიონების მრავალ ფერმაში ნახავთ წითელ კუთხეებს, სადაც ჩქეფს სისხლსავსე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აქ სისტემატურად არის მართება წაგიტაციო საუბრები, გამოდის კედლის გაზეთები, ფართოდ არის გამოყენებული თვალსაჩინოება და სხვ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგან წითელი კუთხეები ფორმალურად არის შექმნილი, ანდა სულ არ არსებობს. მათ როლს ასრულებს ძველი გაზეთებთა და ბროშურებით სავსე მაგიდა, ოთახის ერთ კუთხეში კი მოჩანს გახუნებულ მატერიაზე დაწერილი მოწოდება. გვხვდება ისეთი წითელი კუთხეებიც, რომლებიც ფაქტიურად ვეტერინარულ პუნქტად ან ლაბორატორიად არის გადაქცეული.

ამას წინათ ვიყავით საქართველოს ერთ-ერთი ვენახიან მაღალმთიანი რაიონის — ბოგდანოვკის იალაღებზე ზღვის დონიდან 2.100 მეტრ სიმაღლეზე. ბევრი კარგი რამ ვნახეთ ამ რაიონის მეცხოველეობის ფერმებში, მაგრამ რაც ყველაზე შესაშინავი და ღრმაშესანიშნავია, ეს ჩვენი რიგითი ადამიანების თავდადებული შრომაა.

სოფელ ოროჯალარის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმასთან მოწყობილ წითელ კუთხეში ნახავთ როგორც მთლიანად მეურნეობის, ისე რაიონისა და რესპუბლიკის სოციალისტურ ვალდებულებებს და მათი შესრულების მიმდინარეობების ამსახველ დიაგრამებს, მოწინავეთა სტენდს, კედლის გაზეთს, პლაკატებს, ლოზუნგებს, გაზეთებისა და ჟურნალების ახალ ნომრებს, რადიომიმღებს. ერთი სიტყვით, აქ ყველა საჭირო პირობაა შექმნილი მეცხოველეთა ნაყოფიერი მუშაობისათვის. თავისუფალ დროს წითელ კუთხეში შესული მშრომელი კულტურულად ისვენებს, ისმენს საინტერესო საუბარს ან ლექციას, ესწრება კითხვა-პასუხის საღამოს და სხვა ღონისძიებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფერმები და წითელი კუთხეები თითებზე ჩამოითვლება.

რა ითქმის იმ კოლმეურნეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებზე, რომელთა მეცხოველეები საიალაღო პერიოდს ატარებენ ცივ, ნესტიან ქოხმახებში ან კარვებში, სადაც წითელ კუთხეზე ლაპარაკიც ზედმეტია, და ხალხი კულტურულ დასვენებასა და გართობას არის მოკლებული?

ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ მეცხოველეობის ფერმებთან წითელი კუთხეების მოწყობის რამდენიმე ვარიანტი.

ა) როცა წითელი კუთხე მდებარეობს სადგომის გარეთ, ეზოში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ფერმებს ცენტრალური გათბობა არა აქვთ და მეცხოველეობის ბევრი რაიონის ფერმებში ზამთრობით სათბობის ნაკლებობის გამო დროებითი ღუმელები ზოგჯერ არ ინთება, იქ მოწყობილ წითელ კუთხეებში გაძნელებულია ქმედითი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღება;

ბ) როცა წითელი კუთხე მოთავსებულია სადგომის ერთ ბოლოში. ეს ვარიანტი წინასთან შედარებით იმით არის კარგი, რომ წითელ კუთხეში მოსახვედრად მეცხოველეს შინობიდან გამოსვლა არ უხდება და არც სამუშაო უბანს ტოვებს. მაგრამ წითელ კუთხეში მაინც ცივა, რადგან იგი ფერმის შესასვლელთან მდებარეობს და შედარებით შორს არის სადგომის მეორე ბოლოში მომუშავე მეცხოველეთაგან;

გ) არის შემთხვევა, როცა წითელი კუთხე თავისი მდებარეობით თუმცა თანაბრად მოსახერხებელია ყველა მეცხოველისათვის (მოთავსებულია სადგომის ცენტრში, იზოლირებულია კაპიტალური კედლით), მაგრამ შედარებით უფრო ცივია, რადგან წითელი კუთხე აქ ფაქტიურად შენობის ძირითად კორპუსს გარეთ გამოდის;

დ) მეოთხე ვარიანტში წითელი კუთხე მოქცეულია ცენტრში, შენობის ფარგლებში. აქ შედარებით თბილა და ყველასთვის მოსახერხებელია.

ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს და გაფორმდეს მეოთხე ვარიანტში განხილული წითელი კუთხე. წითელი კუთხის იატაკი ბოსლის იატაკთან შედარებით ერთი საფეხურით მაინც უნდა იყოს მაღალი. კედლებზე გაკრული თვალსაჩინოება სინესტისაგან რომ არ გახუნდეს, საჭიროა წითელ კუთხეს ჰქონდეს ჭერი, ხოლო წინა თავისუფალ მხარეს — ფარდა ნესტგამძლე მასალისაგან. ასეთ სათავსში უნდა იყოს გრძელი მაგიდა და სკამები საგაგიტაციო საუბარზე მის უკან მშრომელთათვის. სათავსის ერთ კუთხეში უნდა იყოს რადიომიმღები ან ტელევიზორი, მეორეში — კარადა ჟურნალ-გაზეთებისათვის, მესამე კუთხეში უნდა იდგეს ხელსაბანი ხურსელოვანი საპნითა და სუფთა პირსახოცით. ღამის მორიგეს უნდა ჰქონდეს მოსაეცი საწოლი, კედლებს უნდა ამშვენებდეს გამოჩენილ ადამიანთა სურათები, კედლის გაზეთი, მოწინავეთა დაფა, ლოზუნგები, პლაკატები და სხვა თვალსაჩინოება.

ეს არის ის მინიმუმი, რითაც უნდა უზრუნველყოთ მუშაკი, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათს.

როგორც ვხედავთ, აქ რთული არაფერია, საჭიროა მხოლოდ სათანადო ყურადღება და მონდომება. იქ, სადაც არ არის ასეთი წითელი კუთხე, უნდა შეიქმნას იგი. და არა მარტო წითელი კუთხე. ყოველი წინადახედული, შორსმჭვრეტელი პარტიული ხელმძღვანელის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა იქ, სადაც უშუალოდ წყდება მეურნეობის ბედი.

მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა გაშლილი გეგმაა დასახული ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მყოფი 2.500 მწყემსისა და მომსახურე პერსონალისათვის, რომლებიც აქ მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან 1969 წლის 1 მაისამდე დაპყოფენ. ეს გეგმა ითვალისწინებს საველე წითელი კუთხეების მოწყობას, აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლებს, ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვას, თემატურ რადიო და ტელეგადაცემებს. მხატვრული და დოკუმენტური კინოფილმების ჩვენებას, საველე ფურცლების გამოშვებას და სხვ.

როგორც ყოველთვის, ამ ზამთარშიც ყიზლარის საძოვრებზე სერიოზულ მუშაობას გასწევენ დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთისა და ლენინგორის კულტურის სახლები.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან ერთად დაბა კოჩუბეის კულტურის სახლში მოაწყობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას. აქვე სისტემატურად მიავლინებენ როგორც ამ დაწესებულებათა, ისე საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლის მეთოდისტებსა და სხვა სპეციალისტებს. დაბა კოჩუბეის კულტურის სახლისა და ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო ითვლის სამოთხიან ფინურ სახლსა და კინოთეატრის შენობას 180 მაყურებლისათვის.

ყველგან შეკვმნათ საჭირო პირობები მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაჩაღებლად, ბოლომდე აღმოფხვრათ ამ საქმეში არსებული ფორმალიზმი.

ს. მანველიანი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორი.

ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ ახალ საამქროში მწყობრში ჩადგა „ბ-30“ ტიპის 12 სამონტაჟო ჩარხი.

ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად, მომინანქრებული სადენების გამოშვება 35 პროცენტით გაიზრდება.

კარგად იშრომეს ახალი მოწყობილობების მონტაჟზე ხ. ქელესხაევმა და პ. თედიევმა. **სურათზე:** უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი პ. თედიევი (მარჯვნივ) და ზეინკალი ხ. ქელესხაევი ჩარხის გაწყობაზე მუშაობენ.

ფოტო ვ. უბოფენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი

დიდ ბელადს მიეძღვნა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორთა ჯგუფი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში აწყობენ დიდი ბელადისადმი მიძღვნილ თეორიულ კონფერენციათა სერიას.

ასეთი თეორიული კონფერენციები უკვე გაიმართა წალენჯიხაში, ქარელში, თეთრწყაროში, ჭიათურაში, სოხუმში, გეგეჭკორში. აქ მოისმინეს მოხსენებანი ისეთ დიდმნიშვნელოვან თემებზე როგორიცაა „სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმის განხორციელება საქართველოში“, „ლენინური მოძღვრება კომუნიზმზე“, „ლენინის მოძღვრება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ“, „კომუნისტური პარტია — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი“, „ვ. ი. ლენინი საქართველოში აგრარული საკითხის შესახებ“, „კოოპერაციის ლენინური გეგმის განხორციელება საქართველოში“, „მარქსისტულ - ლენინური მოძღვრება ერის შესახებ“, „საქართველოს მუშათა ახალი ყოფა-ცხოვრება“, „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ინტელიგენცია“, „საქართველოს საკოლმეურნეო გლეხობა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“, „ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნა საქართველოში“, „საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“, „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება აფხაზეთში“. ამ კონფერენციებზე მოხსენებანი წაიკითხეს პროფესორებმა გ. ბრეგაძემ, ა. იოსელიანმა ა. კეკენაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა ა. ბენდიანიშვილმა, დ. მაისურაძემ, ვ. ახობაძემ, შ. ინალ-იფამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ე. ქვათაძემ, ვ. ჯიქიამ, კ. ტაბატაძემ, გ. თევზაძემ და სხვებმა.

თეორიულ კონფერენციებზე მოისმინეს აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან და ცალკეული რაიონებისა და ქალაქების ცხოვრებასთან დაკავშირებული მოხსენებანი. მაგალითად, მსმენელთა ინტერესი გამოიწვია მოხსენებებმა „ჭიათურის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან“, „წალენჯიხის რაიონის მშრომელთა ახალი ყოფა-ცხოვრება“, „ქარელის რაიონი ახალ ხუთწლეულში“, „თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“. ეს მოხსენებანი წაიკითხეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. აბესაძემ, პარტიის წალენჯიხის რაიკომის მეორე მდივანმა ო. მესხიამ, აგრეთვე ადგილობრივმა ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციები გაიმართება რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც. (საქდესი).

თემატური საღამო

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში ბევრი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება ქალაქ ზუგდიდის სკოლებში.

ამას წინათ მეცხრე საშუალო სკოლის დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო თემატური საღამო, რომელსაც მოსწავლეებთან ერთად მშობლებიც ესწრებოდნენ.

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკოლის დირექტორი რ. მიქენაია.

მოსწავლეებმა მ. ფიფიამ, დ. ლიპარტიამ და თ. ლოლუამ წაიკითხეს ადგილები რ. ქორქიას მოთხრობებიდან, რომლებიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინისადმი.

ვ. ქორთუშვილი,
მასწავლებელი.

რევოლუციონერის ძეგლი

დილიდანვე მრავალი სტუმარი და მშრომელი შეიკრიბა სამტრედიის ვ. სტურუას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. აქ სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნაზე ადიან რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვანოს შვილები დოცენტი ლენა სტურუა, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი რობერტ სტურუა, მათი ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, მეზობელი რაიონებიდან მოწვეული სტუმრები.

საზეიმო შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ. მან ილაპარაკა ვანო სტურუას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის დამსახურებაზე ხალხისა და პარტიის წინაშე.

— ვანო იყო ჭეშმარიტი კომუნისტი, თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის უანგარო და თავდადებული მებრძოლი, თქვა მან სიტყვის დასასრულს, — ამიტომ იყო, რომ მას პარტიის სინდისს უწოდებდნენ.

ჭრიან ლენტს. ნელა ეშვება თეთრი საბურველი. გაჩრდილულ ბიბლიოთეკა მოჩნდა გამოჩენილი რევოლუციონერის სახე.

ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს კულაშის ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილემ პ. მიქელაძემ, მელაურის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უ. კიკნელიამ, აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ვ. გოდუაძემ, საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანმა ნ. მდინარაძემ, მოსწავლე მ. მილორავამ. მოგონებით გამოვიდა ძველი რევოლუციონერი გ. ხაჟალია. პოეტებმა ალექსანდრე შანიძემ და ზაურ ბოლქვაძემ წაიკითხეს ლექსები.

ვ. სტურუას ძეგლის ავტორები არიან ი. ოქროპირიძე და ბ. ავალიშვილი, არქიტექტორი — გ. გაბაშვილი.

* * *

სურათზე: ვანო სტურუას ძეგლი.

ფოტო ჯ. აბრამიძისა.

ყოველი ნერილის უკან ადამიანია

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი საჩივრებისა და განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტის საქმეში

ჩვენი პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობას. ამის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 29 აგვისტოს დადგენილება — „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების დარგში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის დადგენილება — „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ“.

როგორც ამ დოკუმენტებშია მითითებული, პროკურატურის ორგანოებმა სისტემატური ზედამხედველობა და კონტროლი უნდა გაუწიონ საბჭოთა კანონების შესრულებას მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს, შეამოწმონ ამ დარგში მუშაობის მდგომარეობა ყველა სამინისტროსა და უწყებაში და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებში, მკაცრად აგებინონ პასუხი იმათ, ვინაც ბრალი მიუძღვის კანონების დარღვევაში, საქმის გაჭიანურებასა და გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობაში.

რესპუბლიკის პროკურატურა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოები აჭარის ასსრ, ქ. თბილისის, აგრეთვე სხვა ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების მუშაკები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ სერიოზულ უბანს, რეგულარულად ამოწმებენ სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის მიმდინარეობას. გამოვლინებულ დარღვევებზე წარდგინებით შედიან შესაბამის სელმძღვანელ ორგანოებში, ისახება ღონისძიება ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს გულისხმიერად ეკიდება ყვარლის რაიონის პროკურორი ა. ფიროსმანიშვილი, რომელიც ზუსტად იცავს განცხადებების განხილვის კანონით დაწესებულ ვადებს, მომჩივნებს უგზავნის სრულყოფილ მოტივირებულ პასუხებს.

ამ მხრივ სამაგალითოა აგრეთვე ქალაქ ჭიათურის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, საჩხერის, ქარელის და სხვა რაიონების პროკურორების მუშაობა.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეს. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ იშვიათი როდია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევები. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის სასამართლოებში განხილულ იქნა სამუშაოზე აღდგენის 341 საქმე, აქედან 268 კაცი, ე. ი. მომჩივანთა 78,5 პროცენტი აღდგენილ იქნა სამუშაოზე.

ქ. თბილისის საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკაში რამდენიმე თანამშრომელი უკანონოდ დაითხოვეს სამუშაოდან. ამასთან დაკავშირებით საჩივრები შედიოდა პარტიულ და ადმინისტრაციულ ორგანოებში. შემოწმებით გამოვლინდა, რომ ფაბრიკაში მართლაც იყო შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი დასაბუთებული წარდგინებით შევიდა ხელმძღვანელ ორგანოებში, ხოლო საჩივრის შემოწმების შედეგი გააცნო ფაბრიკის კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა კრებას. ამან ხელი შეუწყო ნაკლოვანების აღმოფხვრას, კანონის დაცვას.

„მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტები, — ნათქვამია ბრძანებულებაში, — ვალდებული არიან სისტემატურად შეამოწმონ აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და შემოწმების შედეგები მოისმინონ თავიანთ სხდომებზე, ხოლო საჭირო შემთხვევაში გაიტანონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიების განსახილველად“.

ჯერ კიდევ მიმდინარე კვარტალის დასაწყისში რესპუბლიკის პროკურატურამ სათანადო მითითება მისცა პროკურატურის ორგანოებს ადგილობრივი საბჭოთა აქტივის მონაწილეობით შეემოწმებინათ ქალაქის თუ რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და შემოწმების შედეგები მოეხსენებინათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მორიგი სესიისათვის. დავალება შესრულებულ იქნა. პროკურორრების მოხსენებების საფუძველზე საქალაქო და რაიონულ სესიებზე დასახულ იქნა საჭირო ღონისძიებანი.

ამ საკითხზე რაიონული საბჭოს სესიებზე საინტერესო და საქმიანი მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის კიროვის და ორჯონიკიძის რაიონების პროკურორები გ. კერესელიძე და ი. მახარაძე.

„აქვე უნდა ვადიაროთ, რომ ზოგიერთ საბინისტროში, უწყებაში, საწარმო-დაწესებულებებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა შეუწყნარებლად ჭიანურდება, არის საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატული, უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მიმდინარე წელს ჩატარებული შემოწმების შედეგები მოწმობენ, რომ მშრომელები თავიანთ წერილებსა და განცხადებებში მეტ წილ შემთხვევებში საინტერესო, საზოგადოებრივ საჭირბოროტო საკითხებს აყენებენ.

1967 წელს ქ. თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომში მიღებული 4.000-ზე მეტი განცხადება შეეხებოდა რაიონის კეთილმოწყობის საკითხებს, 1.130 განცხადებაში, რომლებიც ქუთაისის ქალაქის საბჭოს აღმასკომშია აღრიცხული, დასმულია საკითხი სამრეწველო საწარმოთა და ქალაქის ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ.

შემოწმებით გამოვლინდა მშრომელთა წერილებისა და საჩივრებისადმი უყურადღებო და ფორმალური დამოკიდებულების მრავალი ფაქტი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს მუშაკმა ა. ჯანელიძემ დოცენტ ჯანაშვილს 7 თვის შემდეგ გაუგზავნა პასუხი და აცნობა, რომ მისთვის საინტერესო საკითხზე მას შეუძლია მიმართოს რაიონალიზაციისა და გამომგონებლობის სრულიად საკავშირო საზოგადოებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1967 წლის იანვრიდან 3.000-ზე მეტი განცხადება გადაუგზავნა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს. ეს იმ დროს, როდესაც განცხადებების ავტორების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მუშაობას აკრიტიკებდა. მაგალითად, ქ. გურჯაანში მცხოვრებ ბ. ჯოხაძის განცხადება, რომელიც გურჯაანის კავშირგაბმულობის რაიკანტორის უფროსის ნ. ბოლქვაძის უკანონო მოქმედებას ამხილებდა, სამინისტრომ თვით ნ. ბოლქვაძეს გაუგზავნა.

1967 წლის ოქტომბერში „იზვესტიის“ რედაქციამ „ცეკავშირს“ შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გამოუგზავნა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის 47 მუშის კოლექტიური წერილი, რომელიც ქუთაისის კოოპვაჭრობის მაღაზიებში ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს შეეხებოდა. საჩივარი სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილებაში ჯერ კიდევ 1967 წელს მიღებული მშრომელთა 59 განცხადება შემოწმების დროს განუხილველი ეყარათ უჯრაში.

ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომში 1967 წლიდან 1968 წლის მაისამდე მიღებული 1.558 განცხადებიდან 649 განხილულია ერთ თვეზე მეტ ვადაში, ხოლო 320 საერთოდ არ განუხილავთ.

მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს ასევე უგულოდ და უყურადღებოდ ეკიდებიან ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომის სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციაში.

შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე დედაქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში.

თბილისის № 17 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა შ. კარგარეთელმა 1967 წლის 1 მარტს სამუშაოდან გაათავისუფლა ექიმი პ. ანთელავა იმ მოტივით, რომ თითქოს მან ვერ გაართვა თავი უბნის ექიმის მოვალეობას, ხოლო სკოლაში ექიმად მუშაობაზე უარი განაცხადა.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1967 წელს იქიმი პ. ანთელავა აღადგინა სამუშაოზე როგორც უკანონოდ განთავისუფლებული.

ასევე უკანონოდ მოექცა თანამშრომლებს და უხეშად დაარღვია შრომის კანონმდებლობა თბილისის № 1 სასადილოების ტრესტის დირექტორმა ს. ჭკუასელმა.

პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებში და ცენტრალური და ადგილობრივი ეკონომიკურ-გაზეთების რედაქციებში ბევრი საჩივარი შედის ალიმენტის ურჩ გადამხდელებზე. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზოგიერთი მუშაკი გადამჭრელ ზომებს არ იღებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ ბავშვების შესანახი საზრდო-ალიმენტის გადახდას, საჭირო გულისხმიერებით არ ეკიდებიან ამ საკითხზე შემოსულ განცხადებებს.

პროკურატურის ორგანოებში, კერძოდ, რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალურ აპარატშიც არის შემთხვევები, როცა განმცხადებელს დაგვიანებით აძლევენ პასუხს, ხოლო ზოგჯერ პასუხი ზერეულ და დაუსაბუთებელია.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებაში „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ ნათქვამია, რომ მოქალაქეს, რომელიც საჩივარს ან განცხადებას შეიტანს ციოსწამების მიზნით, ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ცხადია, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დროს ესეც უნდა იქნას გათვალისწინებული.

ᲛᲩᲐᲛᲘᲠᲘᲡ რაიონში მცხოვრები ვ. ცვინარია და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. სმირი სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანოებში ცილისმწამებლურ განცხადებებს წერდნენ პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხტაბერიძეზე, თითქოს იგი უხეშად არღვევს კადრების შერჩევისა და განაწილების პრინციპებს, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავს მიშთვის სასარგებლო პირებს, ხელს აფარებს არაპატიოსან მუშაკებს, ახალისებს მლიქნელებს, დიდი სამამულო ომის წლებში თავი აარიდა საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევას და სხვ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ვ. ცვინარია და ვ. სმირი განაწყენებული იყვნენ გ. ჯოხტაბერიძეზე და ამიტომ სწამებდნენ მას ცილს.

ვ. ცვინარია აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ დაპატიმრებულია, როგორც ცილისმწამებელი, ხოლო ვ. სმირი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ ანონიმური ცილისმწამებლური წერილების წერისათვის შესაფერი სასჯელი მიუზღო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მასწავლებლებს ი. ჭანჭალიანს, მ. ორკოდაშვილს, რომლებიც ჭორებს ავრცელებდნენ და ჩირქს სცხებდნენ ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დიდ ყურადღებას უთმობს მოქალაქეთა მიღების სწორ ორგანიზაციას სამინისტროებში, უწყებებში, საწარმო-დაწესებულებებში. ამ მიმართულებით რესპუბლიკის პროკურატურა და დაქვემდებარებული ორგანოები მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებენ.

რესპუბლიკის პროკურატურაში დაწესებულია მიღების საათები საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე, გარდა ამისა ყურადღება ექცევა უშუალოდ საწარმო-დაწესებულებებში მოქალაქეთა მიღებას.

სამაგალითოა ამ მხრივ ცხაკაიას რაიონის პროკურორის გ. სახაიას მუშაობა. იგი ზუსტად ასრულებს განრიგს, გულისხმიერად უსმენს თვითეულ მოქალაქეს, აკმაყოფილებს მათს კანონიერ პრეტენზიებს.

გარდა ამისა, ე. სახაიამ პრაქტიკაში შემოიღო მოქალაქეთა მიღება საღამოს საათებში. კოლმეურნეს, მუშას და სხვა დაინტერესებულ პირს სამუშაოს მოუცდენლად შეუძლია მიმართოს პროკურორს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მთხოვნელებს პირველ რიგში იღებდნენ საწარმო - დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები. ისინი გულდასმით უნდა უსმენდნენ მათ, გულისხმიერად მოეკიდონ მათს თხოვნას, ღრმად ჩასწვდნენ მათს წუხილს, მოეხმარონ, ხოლო თუ თხოვნა უსაფუძვლოა, მთხოვნელს დამაჯერებლად განუმარტონ რატომ არ შეიძლება მისი დაკმაყოფილება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაში საბჭოთა კანონების პროპაგანდას, მის საფუძვლიან განმარტებას, ეს ხელს უწყობს არა მარტო პროკურატურის, არამედ სხვა ორგანოებშიც უსაფუძვლო საჩივრების შემოტანის შემცირებას.

1968 წლის პირველ ნახევარში პროკურატურის მუშაკებმა საბჭოთა კანონმდებლობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე წაიკითხეს 1.783 ლექცია-მოხსენება, მოაწყეს კითხვა-პასუხის მრავალი საღამო. პროკურორები ბევრჯერ წერილებს რაიონებსა და ქალაქებში მშრომელთა საჩივრების და განცხადების განხილვის მდგომარეობის შესახებ

რ. მ. კომახიძე



გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან რევაზ მურადის-ძე კომახიძე.

რევაზ კომახიძე დაიბადა 1911 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელში, შემდეგ სწავლობდა ბათუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის საბჭოთა მშენებლობის ინსტიტუტში, რომელიც 1933 წელს დაამთავრა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რ. კომახიძე მუშაობდა პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოებში — იყო ქობულეთის რაიონის პროკურორი, აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილე. 1942-1944 წლებში ეკავა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილისა და ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილის პოსტები. 1944 წლიდან 1948 წლამდე რ. კომახიძე აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეა.

1948 წელს რ. კომახიძეს სასწავლებლად აგზავნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში. აკადემია დაამთავრა 1951 წელს და იმავე წელს დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1951 წელს რ. კომახიძე დანიშნეს აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრად, შემდეგ — აჭარის კულტურის მინისტრად.

1954 წლიდან რ. კომახიძე გადავიდა მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობაზე. იგი დანიშნეს ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად. ერთდროულად ამავე ინსტიტუტში კითხულობს მარქსიზმ-ლენინიზმის კურსს.

1955 წელს რ. კომახიძე აირჩიეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

რ. კომახიძე არაერთგზის იყო არჩეული ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აჭარის ასსრ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

ხალხისა და კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი — რევაზ კომახიძე მთელ თავის ენერგიას, მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას ახმარდა სამშობლოს სამსახურს, ყველგან, ყველა პოსტზე, სადაც პარტია გზავნიდა, იგი პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს, თავდადებით იბრძოდა პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. რ. კომახიძე გამოირჩეოდა მაღალი ბოლშევიკური პრინციპულობითა და თავმდაბლობით, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა რესპუბლიკის მშრომელებში.

რევაზ კომახიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუზიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ლ. მ. დავითაძე, რ. რ. დვალი, ფ. დ. დუმბაძე, ა. დ. თხილაიშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, მ. მ. ლელაშვილი, დ. მ. მამულაძე, ბ. ვ. შინკუბა, კ. კ. ჯიოევი.

ХОНСТОНი იძულებული გახდა...

პარიზი, 4 ნოემბერი. (საკ-დესი). დიდ დამარცხებათა გამო, რასაც ამერიკელი აგრესორები და მათი დამქაშები განუწყვეტელივ განიცდიან აგრესიულ ომში სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ, აგრეთვე დამანგრეველ ომში ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოსა და შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის გამო პრეზიდენტი ჯონსონი იძულებული გახდა დათანხმებოდა საპაერო, საზღვაო და საარტილერიო დაბომბვის და ყველა სხვა სამარი აქტის უპირობოდ შეწყვეტას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ნათქვამია სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის საინფორმაციო ბიუროს განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელეს. ეს დიდი გამარჯვებაა არა

გასთავისუფლების ეროვნული ფრონტის საინფორმაციო ბიუროს განცხადება

◆

მარტო ჩვენი 17 მილიონი ჩრდილოელი თანამემამულისა, არამედ სამხრეთ ვიეტნამის 14 მილიონი მცხოვრებისაც, ხაზგასმულია განცხადებაში.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა, ნათქვამია განცხადებაში, გადაწყვიტა გაგზავნოს დელეგაცია თათბირში მონაწილეობისათვის, რომელზეც წარმოდგენილი იქნებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის ადმინისტრაციის დელეგატებიც.

„საიგონის მარიონეტული ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობა თათბირზე, — აღნიშნულია განცხადებაში, — სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მას ცნობს განთავისუფლების ეროვნული ფრონტი. მხოლოდ განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, არის სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ნამდვილი წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკება მისი სახელით და უნარი შესწევს მოაწესრიგოს ყველა პრობლემა, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამს შეეხება.

მოსალაპარაკებლად პარიზში

პარიზი, 4 ნოემბერი. (საკ-დესი). დღეს პარიზს ჩამოვიდნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის წევრები სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრის ქალბატონ ნგუენ თხი ბინის მეთაურობით.

ფრონტის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ვიეტნამის საკითხზე თხუთხრივ შეხვედრებში, რომლებიც საფრანგეთის დედაქალაქში იმართება იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც მიაღწიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა წარმომადგენლების ოფიციალური საუბრების ფარგლებში.

ᲛᲘᲕᲘᲜᲒᲘ ᲠᲝᲡᲢᲝᲙᲨᲘ

ბერლინი, 4 ნოემბერი. (საკ-დესი). გერმანიის ნოემბრის რევოლუციის 50 წლისთავის გამო გუშინ როსტოკში მოეწყო მშრომელთა მიტინგი. გაიმართა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების პარადი.

გემთმშენებლების, მეზღვაურებისა და რევოლუციური მუშათა მოძრაობის ვეტერანებმა წინაშე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო ხელმძღვანელობის პირველი მდივანი გ. ტიში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თქვა მან, განხორციელდა ნოემბრის რევოლუციის მებრძოლთა ანდერძი. ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის თანამედროვე საბრძოლო ხომალდები სსრ კავშირის ბალტიის წითელდროშოვან ფლოტთან და პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ერთად ღირსეულად ასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას — იცავენ სოციალისტური ბანაკის საზღვრებს ბალტიის ზღვის რაიონში.

მივინგი როსტოკში

გდრ

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ზუგდიდი, 4 ნოემბერი. (საკ-დესი). გუშინ ხამხინის ვინალონის ქარხანაში „მ თებერვალი“ გაიმართა საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის საღამო. მუშებმა გულთბილად მიიღეს საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც ვიზიტად არის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს, იუწყება კორეის ცენტრალური დელეგაციის საგენტო, დაესწრნენ აღგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲜᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“!

მკვლელის პოპულარობა

ჯეიმს ერლ რეი, რომელსაც ბრალად ედება ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგთა მოძრაობის ლიდერის მარტინ ლუთერ კინგის მოკვლა, სულ უფრო სენსაციური პიროვნება ხდება. უკანასკნელ ხანებში მრავალრიცხოვანი მწერლები, კინოსცენარისტები კანში ძვრებიან და რა ხრიკებს არ მიმართავენ იმისათვის, რომ დამნაშავისაგან აიღონ ინტერვიუ ან რაიმე მასალა მორიგი „ბესტსელერის“ შესაქმნელად. სისხლის სამართლის ლიტერატურა უკვე დიდიხანია ფართო პოპულარობით სარგებლობს ამერიკის წიგნის ბაზარზე და საკმაოდ სოლიდურ მოგებას აძლევს ავტორებს.

ბედმა გაუღიმა ლიტერატორ უილიამ გუიეს, რომელმაც მოახერხა საპყრობილეში რეისგან მიეღო ათი ათასი სტაუვისაგან შემდგარი ხელნაწერი. მასში მოთხრობილია რეის თავგადასავალი პატიმრობიდან გაქცევის შემდეგ იმ საბედისწერო დღემდე, როდესაც იგი თავს დაესხა კინგს მემფისში.

ამ ხელნაწერის საფუძველზე უილიამ გუიეს განზრახული აქვს დაწეროს რამდენიმე სტატია, შემდეგი — წიგნი, აგრეთვე სცენარი კინოფილმისათვის. პრესა იუწყება, რომ მწერალმა რეისთან კონტრაქტის დადება მოახერხა მისი იურისტ-დამცველის არტურ პეინსის დახმარებით. იურისტი დაინტერესებული პიროვნებაა იმიტომაც, რომ იგი მოელის ფულად გასამჯელოს, რომელიც რეიმ უკვე მიიღო უილიამ გუიესაგან. თუ რამდენი გადაუხადა ავტორმა რეის, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. იმაზე, თუ რა ხასიათისა იქნება სტატიები და წიგნი, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ავტორის ცალკეული შენიშვნებით. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ რეი სრულებითაც არ არის რასისტი — იგი პროფესიული ბოროტმოქმედია და მან არ იცის იმ ადამიანთა მიზნები, რომლებმაც იგი კინგზე თავდასხმისათვის გამოიყენეს.

გუიეს წიგნი გამოვა დამნაშავის სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელიც უნდა გაიმართოს 12 ნოემბრს მემფისში.

ოქროს კონტრაბანდა

ქალაქ ოსაკის პოლიციამ დაპატიმრა კიდევ 13 კაცი, რომლებიც მონაწილეობდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უველაზე დიდ კონტრაბანდისტულ ოპერაციაში, იუწყება კიოდო ცუსინის სააგენტო. ადრე დაპატიმრებული იყო ამ ოპერაციის 79 მონაწილე, რომლებიც ხელს უწყობდნენ ოქროს უკანონოდ შეტანას იაპონიაში, სადაც ოქროს ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე. დაპატიმრებულთა შორის არის ტოკიოს მარგალიტით მოვაჭრე მაღაზიის მფლობელი იოსიე ონედა. როგორც პოლიცია ვარაუდობს, ონედამ თავის იატაკქვეშა ქსელის მეშვეობით იაპონიაში გაიყვანა თითქმის 1,5 მილიარდი იენის 2 ტონა ოქრო. გამოძიების მსვლელობაში გამოვლინდა კონტრაბანდისტთა 16 საიდუმლო მარშრუტი თვით იაპონიაში, აგრეთვე საზღვარგარეთული მარშრუტები იაპონიასა და კანადას, შეიცარიას, ჰონკონგსა და ლიბანს შორის.

მთელი ამ უდიდესი კონტრაბანდისტული ოპერაციის დროს, აღნიშნავს სააგენტო, გაიყვანა 9,2 მილიარდი იენის 18 ტონა ოქრო. იაპონიის პოლიციამ გამოძიების შემდგომი განგრძობისათვის დახმარება სთხოვა ინტერპოლს — დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პოლიციას.

ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲜᲔᲠᲐ

აინტერესებთ თუ არა ქურდებს ფერნერა? თუ დასავლეთში ხელოვნების ნაწარმოებთა ქურდობის სტატისტიკას დავეყრდნობით, ეს ასეა.

ბრიუსელის მცხოვრებლებს ჯერ დავიწყებულიც არ ჰქონდათ ქალაქის ცენტრიდან ცნობილი ქანდაკების „მანეკენ-პისის“ დაკარგვა, რომ გაზეთებმა ახალი სენსაცია გამოაქვეყნეს: უკვალოდ გაქრა უძველეს ოსტატთა ძვირფასი ნახატები, რომელთა საერთო ღირებულება 1.750 ათას ბელგიურ ფრანკს შეადგენს.

გაქურდვა მოხდა ღამით ანტიკვარულ მაღაზიაში პტი-კარპის მუდრო ქუჩაზე. შემოხვევის ადგილზე მისულმა მაღაზიის პატრონმა ვილემსმა განაცხადა, რომ გატაცებულია დელაკრუას, კურბესა და სხვა ცნობილ მხატვართა 200-მდე ოშვიათი ნაწარმოები.

ᲔᲒᲘᲞᲢᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საერთაშორისო ხსნა

მიესალმებიან დიად ოქტომბერს

ლაგოსი, 4 ნოემბერი. (საკდესი). 240 მილიონ საბჭოთა მოქალაქეს ყველა საფუძველი აქვს ამაყობდეს და სიხარულით აღნიშნავდეს 7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავს, წერს ნიგერიის გაზეთი „ედვანსი“.

„მათ ყველა საფუძველი აქვთ ამაყობდნენ, რადგან 51 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირმა საქმით ცხადყო სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე“.

„ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირს“, — წერს სარედაქციო სტატიაში ნიგერიელ მუშათა ეს გაზეთი.

ჩვენთვის განვითარებადს ქვეყნებში, წერს „ედვანსი“, საბჭოთა კავშირის მიღწევები შთამაგონებელია და პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახელმძღვანელო უნდა იყოს.

ისინი უნდა იყოს ჩვენი შთამაგონებელი და სახელმძღვანელო, რადგან 1917 წლამდე საბჭოთა კავშირი, რომელიც მაშინ ცნობილი იყო როგორც რუსეთი, უკეთეს მდგომარეობაში როდი იყო, ვიდრე ჩვენ ახლა ვართ.

მართლაც, ხაზს უსვამს „ედვანსი“, ჩვენ დიდი უპირატესობა გვაქვს, რადგან რუსეთის რევოლუციის დროს ისინი არავისგან არ ელოდნენ დახმარებასა და რჩევას, მაშინ როცა ჩვენ ახლა გვაქვს ამის შესაძლებლობა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თავის მიღწევებს საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდეს 1917 წლის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც დაამსვრია საერთაშორისო იმპერიალიზმის ბორკილი.

ᲮᲝ ᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ჯაფონი, 4 ნოემბერი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გვატყობინებს:

3. ნოემბერს პრეზიდენტმა ხო ში მინამ შემდეგი სიტყვით მიმართა ვიეტნამელ ხალხსა და მთელი ქვეყნის მებრძოლებს:

„თანამემამულენო და მთელი ქვეყნის მებრძოლებო!

იმ უდიდესი გამარჯვების შედეგად, რომელიც ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა და ხალხმა მოიპოვეს ვიეტნამის ორივე ნაწილში, განსაკუთრებით სამხრეთში, გაზაფხულის დამდეგიდან, შეერთებული შტატების მთავრობა 1968 წლის 1 ნოემბერს იძულებული გახდა შეწინაშენოდ შეეწყვიტა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაბომბვა და ცეცხლი.

ამრიგად, ოთხი წლის უაღრესად გმირული ბრძოლის შემდეგ ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა და ხალხმა მოიპოვეს შესანიშნავი გამარჯვება: ჩამოგდეს 3.200-ზე მეტი თვითმფრინავი, ცეცხლი წაუკიდეს 100-მდე ხიდ და ჰატარა სამხედრო ხომალდს და ამით ჩაშალეს გამანადგურებელი ომი, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები აწარმოებენ ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის წინააღმდეგ. ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის დიადი ბრძოლისათვის ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. ეროვნული ხსნისათვის.

ამერიკელი იმპერიალისტები ცდებოდნენ, როცა ფიქრობდნენ, რომ ბომბებისა და ნაღმების ვეღარი დამანგრეველი ძალის გამოყენებით შეძლებდნენ დაესუსტებინათ ჩრდილოეთი, ხელი შეეშალათ იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც დიადი ზურგი უწევს დიად ფრონტს და შეესუსტებინათ სამხრეთის ბრძოლისუნარიანობა. მაგრამ სინამდვილეში, რაც უფრო მეტს იბრძვიან ჩვენი სამხრეთელი თანამემამულენი ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, მით უფრო მეჩიდროა მათი ერთობა, მით უფრო დიდია ძლიერება და მით უფრო დიდ გამარჯვებებს მოიპოვებენ.

ეს არის ჩვენი პარტიის სწორი რევოლუციური ხაზის წარმატება, წარმატება მხურვალე პატრიოტიზმის და ეროვნული ერთობის ძალისა, მტკიცე გადწყვეტილებისა ვებრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ეს არის სოციალისტური წყობილების წარმატება. ეს არის წარმატება ჩვენი შეიარაღებული ძალებისა და ხალხისა როგორც სამხრეთში, ისე ჩრდილოეთში. ეს არის აგრეთვე წარმატება მოძმე ქვეყნების ხალხებისა და ხუთ კონტინენტზე მცხოვრები ჩვენი მეგობრებისა.

ამასთან დაკავშირებით და პარტიისა და მთავრობის სახელით მხურვალედ მიგესალმები ჩვენს თანამემამულეებსა და მებრძოლებს მთელ ქვეყანაში და გულწრფელ მადლობას ვუძღვნი მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს, მეგობარ ქვეყნებს, შორეულსა და ახლოშლებს, მთელი მსოფლიოს ხალხებს, მათ შორის შეერთებული შტატების პროგრესულ ადამიანებსაც უდიდესი დახმარებისათვის, თანაგრძნობისა და მხარდაჭერისათვის.

ძვირფასო თანამემამულენო და მებრძოლებო!

ჩვენ გავიმარჯვეთ გამანადგურებელ ომში, რომელიც ამერიკელი იმპერიალისტები აწარმოებენ ჩრდილოეთში. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი გამარჯვებაა. ამერიკელი იმპერიალისტები იჩენენ დიდ ჯიუტობასა და ვერაგობას. ისინი ლაპარაკობენ „მშვიდობაზე“ და „მოლაპარაკებაზე“, მაგრამ ჯერ არ აუღიათ ხელი თავიანთ აგრესიულ ზრახვებზე. მილიონზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი, მარიონეტული ჯარებისა და სატელიტ ქვეყნების ჯარების ჯარისკაცი ჯერ კიდევ ყოველდღე სჩადის აურაცხელ სასტიკ დანაშაულს ჩვენს სამხრეთელ თანამემამულეთა წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ მთელი ჩვენი ხალხის წმიდათაწმიდა მოვალეობაა ახლა ის არის, რომ გავაძლიეროთ ჩვენი გადაწყვეტილება ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ, ჩვენი გადაწყვეტილება გავათავისუფლოთ სამხრეთი, დავიცვათ ჩრდილოეთი და შევუდგეთ სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას.

სანამ თუნდაც ერთი აგრესორი რჩება ჩვენს ქვეყანაში, უნდა ვიბრძოლოთ მისი განადგურებისათვის.

დაე ჩვენი თანამემამულენი და მებრძოლები გმირ სამხრეთ ვიეტნამში განთავისუფლების ეროვნული ფრონტის სახელოვანი დროშით შეუნელებლად ავითარებდნენ თავიანთ შეტევას და თავიანთ აჯანყებებს და მტკიცედ მიდიოდნენ წინ, რომ მოიპოვონ სრული გამარჯვება.

დაე ჩრდილოეთის შეიარაღებული ძალები და ხალხი მტკიცედ მონაწილეობდნენ პატრიოტულ შეჯიბრებაში სოციალიზმის აშენებისა და ჩვენი მოძმე სამხრეთელი თანამემამულეების წინაშე თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის. დაე ისინი განუწყვეტლივ ამაღლებდნენ თავიანთ სიფხიზლეს, ავითარებდნენ საკუთარი ძალების იმედის გრძნობას და განამტკიცებდნენ თავიანთ ძლიერებასა და მზადყოფნას, რათა ჩაფუშონ მოწინააღმდეგის ყველა ახალი ზრახვანი.

გვჯერა, რომ ჩვენი ხალხის ბრძოლას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული ხსნისათვის უფრო თანაგრძნობით მოეკიდებიან, მეტ დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევენ მოძმე ქვეყნების ხალხები და მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის შეერთებული შტატების პროგრესული ადამიანებიც.

ჩვენს ხალხს, რომელსაც გაუცდია თითქმის ასი წლის კოლონიური ჩაგვრა და 20 წელზე მეტი ხანია იბრძვის იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, სხვებზე უფრო მხურვალედ სურს მშვიდობა ეროვნული მშენებლობისათვის. მაგრამ ეს უნდა იყოს ნამდვილი მშვიდობა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში.

ამიტომ ჩვენ გადაწყვეტილ მოვითხოვთ, რომ:

— ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეწყვიტოს აგრესიული ომი ვიეტნამის წინააღმდეგ, ხელი აიღოს ყველა აქტზე, რომლებიც არღვევენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უშიშროებას;

— ამერიკის მთელი ჯარები და სატელიტი ქვეყნების ჯარები გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან;

— სამხრეთ ვიეტნამის ხალხმა საქმეები გადაწყვიტოს თვით სამხრეთვიეტნამელმა ხალხმა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პროგრამის შესაბამისად, უცხოეთის ჩაურევლად;

—ვიეტნამის გაერთიანების საკითხი გადაწყდეს მისი ორივე ნაწილის — სამხრეთისა და ჩრდილოეთის — მოსახლეობამ უცხოეთის ჩაურევლად

ძვირფასო თანამემამულენო და მებრძოლებო!

ჩვენ კიდევ ბევრი სიძნელე და მსხვერპლი მოგველის. მაგრამ ჩვენი ხალხის დიადი ბრძოლა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული ხსნისათვის მტკიცედ უახლოვდება გამარჯვებას. სამშობლო მოგვიწოდებს ვიაროთ წინ. გამოვიჩინოთ დიდი მამაცობა და სიკვსებით დავამარცხოთ ამერიკელი აგრესორები!

ამერიკელი იმპერიალისტები დამარცხდებიან!

ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს!

● ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

საარჩევნო „დემოკრატია“

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი, (საკ-დესი). **მილიონობით ამერიკელს არ ექნება უფლება მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის ნ ნოემბრის არჩევნებსა და კონგრესის არჩევნებში.** ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ხრიკების მთელი სისტემა, რათა კენჭისყრას ჩამოაშორონ „არასასურველი ელემენტები“. ეს არის რასობრივი დისკრიმინაცია, ბინადრობის, განათლების ცენზი და სხვა. ყოველივე ეს ეხება მოსახლეობის ღარიბეს ნაწილს, ზანგებს, ახალგაზრდებს.

ჟურნალი „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ ბოლო ნომერში წერს, რომ მილიონობით ამერიკელი ღარიბი ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში უწიგნურობის გამო, იმის გამო, რომ მუშაობის ძებნაში იძულებულია ხშირად გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, არჩევნების დღის ვერ შეძლებს სამუშაოდან წასვლას.

11 მილიონი მოზრდილი ზანგიდან ძალიან ბევრს არ მიუშვებენ საარჩევნო ყუთებთან. ზანგთა ორგანიზაციის „სამხრეთის რეგიონალური საბჭოს“ მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში დღემდე არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაცია გაიარა მოზრდილი ზანგი მოსახლეობის მხოლოდ 54 პროცენტმა. იმ შემთხვევებში, როცა რასისტები იურიდიული ხრიკების საშუალებით ვერ უშლიან ხელს რეგისტრაციას, ისინი მიმართავენ ტეროროსა და დაშინებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდობა, როგორც წესი, სამუშაოს ძებნაში ხშირად იძულებულია ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდეს და ამასაც გამოიყენებენ იმისათვის, რომ ბევრ ახალგაზრდა ამერიკელს არ მისცენ კენჭისყრაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ჟურნალ „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ დაახლოებითი გაანგარიშებითაც 18 შეზღუდვები შეეხება ოც მილიონამდე ამერიკელს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი საარჩევნო სისტემა ქმნის ფართო შესაძლებლობებს თაღლითობისა და ხმების ყალბი დათვლისათვის, რაც ყოველთვის ახასიათებდა არჩევნებს ამერიკაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალჯეს მოუთხოვნიათ საარჩევნო სისტემის რეფორმა, მაგრამ მოწოდებანი მოწოდებად რჩებოდა, ხოლო ანტიდემოკრატიული საარჩევნო სისტემა ძველავიც მოქმედებს.

კორეა

მეგობროგის საღამო

ზუგდიდი, 4 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ხამხინის ვინალონის ქარხანაში „მ თებერვალი“ გაიმართა საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის საღამო. მუშებმა გულთბილად მიიღეს საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც ვიზიტად არის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს, იუწყება კორეის ცენტრალური დელეგაციის საგენტო, დაესწრნენ აღგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებ ი ს წარმომადგენლები.

ᲝᲜᲐᲡᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲮᲣᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ათენი, 2 ნოემბერი. (საკდესი). საბერძნეთის სამხედრო ხუნტამ და **მულტიმილიონერმა ონასისმა მოახდინეს პარაფირება შეთანხმებისა საბერძნეთის ტერიტორიაზე ნავთობგადასამუშავებელი და ალუმინის ქარხნების, აეროპორტისა და დაახლოებით 400 მილიონი დოლარი საერთო ღირებულების სხვა დიდი ობიექტების მშენებლობის შესახებ.**

სამხედრო რეჟიმთან ონასისის გარიგების არსი საესებით ნათელია. განიცდის რა სერიოზულ სიძნელეებს, საბერძნეთის ეკონომიური განვითარების ტემპის დაქვეითების გამო, რაც გამოწვეულია 1967 წლის 21 აპრილის სამხედრო გადატრიალებით, პოპადოპულოსის მთავრობა თანახმაა ყველაზე ფართო შეღავათები მიანიჭოს უცხოეთის კაპიტალს და ამით ცდილობს გაარღვიოს იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე.

ონასისმა, რომელიც ახლანდელი საბერძნეთის ნამდვილი ბატონ-პატრონია და უხვად აფინანსებს პოლკოვნიკების რეჟიმს, თავისი მჭიდრო კავშირი საერთაშორისო მონოპოლიებთან გამოიყენა იმისათვის, რათა უზრუნველყოს საბერძნეთში საზღვარგარეთის კაპიტალის შემოსვლა. ამისათვის იგი სამხედრო ხუნტისაგან მიიღებს პროცენტებს მილიონობით დოლარის ოდენობით.

ᲗᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

△ **რომი,** 4 ნოემბერი. (საკდესი). 1968 წლის კამპანიის დროს იტალიელმა მშრომელებმა კომპარტიის ფონდში შეიტანეს 2.488.846 ათასი ლირა, ნათქვამია იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის კომუნიკეში.

ეს თვალსაჩინოდ ადასტურებს მტკიცე მეგობრობას, რომელიც აკავშირებს კომუნისტებს მშრომელების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის ფართო მასებთან, მოწმობს, რომ კომუნისტებმა თავიანთი ბრძოლითა და პოლიტიკური საქმიანობით მოიპოვეს ნდობა და ავტორიტეტი, აღნიშნულია კომუნიკეში.

△ **კაირო,** 4 ნოემბერი. (საკდესი). „მძიმე რაკეტებით შეიარაღებულ არაბ პარტიზანთა ერთ-ერთმა რაზმმა გუშინ ღამით ცეცხლი დაუშინა ისრაელთა დიდმნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს ეილათის ნავსადგურში“, — ნათქვამია პალესტინის „ალ-ასიფის“ ორგანიზაციის კომუნიკეში. როგორც აღნიშნავენ რამდენიმე რაკეტა პირდაპირ მოხვდა მიზანში რამაც გამოიწვია ხანძარი და მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოწინააღმდეგის ბანაკში.

ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲚᲢᲝᲚᲕᲐ ᲗᲣ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ?

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი შეეჩვია ცნობების მოსმენას „ცხოვრების ამერიკული წესის“ სათბურში აღმოცენებულ დანაშაულობათა და უცნაურობათა შესახებ. ეს დანაშაულობანი და უცნაურობანი უფრო აღშფოთებას იწვევენ, ვიდრე გაოცებას.

ასე იყო მაშინ, როცა დალასის ერთ-ერთ შენობიდან ნასროლმა ტყვიამ ბოლო მოუღო ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტს ჯონ ფიტზჯერალდ კენედის; მაშინ, როცა 1968 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს კალიფორნიის შტატის პირველადს არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატობის დემოკრატ პრეტენდენტთა შორის გამარჯვებულ რობერტ კენედის საზეიმო შეკრებისას მკერდში ტყვია დაახალეს, მაშინ, როცა მშვიდობისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი მოძღვარი, 20-მილიონიან ამერიკელ ზანგთა წ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

ხალხურ ოსტატთა რესპუბლიკური კონკურსი

მუშა-მოსამსახურეთა შორის თვითმოქმედი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შედგომი განვითარების, ახალი ტალანტების გამოვლინების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადწყვიტა გამოაცხადოს **თვითმოქმედი გამოყენებითი ხელოვნების რესპუბლიკური კონკურსი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.**

საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორების წახალისების მიზნით დაწესებულია სამაგიო სიგელები და ფულადი პრემიები: სამი **პირველი პრემია** — თვითეული 150 მანეთის ოდენობით, ხუთი **მეორე პრემია** — თვითეული 100 მანეთის ოდენობით, ათი **მესამე პრემია** — თვითეული 80 მანეთის ოდენობით.

დამტკიცებულია ჟიურის შემადგენლობა, რომელიც პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების სახლთან ერთად უხელმძღვანელებს კონკურსს. ჟიურის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს სახალხო მხატვარი, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის მდივანი **დ. თავაძე** (თავმჯდომარე), საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **დ. იოსელიანი** (თავმჯდომარის მოადგილე), ხალხური შემოქმედების სახლის სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგე **გ. გაბაშვილი,** გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების მუზეუმის დირექტორი **გ. გვეშიანი,** საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნე **გ. ჯაფარიძე,** თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე **ი. ქოიავა,** ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ქართული ხელოვნებას ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **გ. მასხარაშვილი,** საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ინსპექტორი **ვ. მთვარაძე,** რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები **შ. ნარიმანიშვილი** და **ი. ოჩიაური,** საქართველოს პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების სახლის დირექტორის მოადგილე **ი. ფაჩულია,** საქართველოს პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების სახლის დირექტორი **გ. სერგია,** რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი **ს. სულხანიშვილი,** საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორი **რ. სურგულაძე,** მხატვარი **დ. ხუციშვილი,** საქართველოს პროფსაბჭოს კულტმასობრივი განყოფილების გამგე **ი. ჩოჩია,** ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ო. ეგაძე.**

კონკურსის პერიოდში მუშათა კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, წითელ კუთხეებში მოეწყობა ხალხური ხელმარჯვე ოსტატთა წრეები და სტუდიები, რომლებსაც დაეხმარებიან პროფესიონალი მხატვრები. ადგილებზე მოეწყობა ხალხური ხელმარჯვე ოსტატების ნამუშევართა გამოფენები.

ხალხურ ხელმარჯვე ოსტატთა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა მოეწყობა 1969 წლის დეკემბერში. (საქდესი).

თბილისი. ვაგზლის მოედანი. ფოტო ბ. კეკელიძისა.

ჩვენს ყარე-ჟურნალში

გვაცნობინებენ „კომუნისტის“ და საქდესის კორესპონდენტები

ეპრაულ ეკვლავი...

ჩრდილეთი. (საქდესის კორ.). ყუბანის მთიან ხეობაში გაიხსნა კავკასიის დამცველთა მარადიული დიდების ძეგლი და მემორიალური მუზეუმი. მარუხის, ქლუხორის, სანჩარისა და ნაურის უღელტეხილების გმირთა საძმო საფლავზე, გმირებისა, რომლებმაც ზღვისკენ გზა გადაუღობეს ჰიტლერული არმიის რჩეულ ნაწილებს, დადგმულია ორი დიდებული სტელა.

25 წლის განმავლობაში მარადიული ყინულები ინახავდნენ დაღუპულ მეომართა ნეშტს, და მხოლოდ შარშან ყარაჩაი-ჩერქეზეთის კომკავშირელებმა მოძებნეს ისინი და სათუთად დაკრძალეს მშობლიურ მიწაში.

მუზეუმი გიგანტური ხანგრძლივი საეცხლე წერტილია, სადაც თავმოყრილია კავკასიის მყინვარებსა და უღელტეხილებზე გაფთრებული ბრძოლების რელიკვიები — იარაღი, ტყვიით გახვრეტილი ჩაფხუტები, გმირი 46-ე არმიის მებრძოლთა ფოტოსურათები, დოკუმენტები და პირადი ნივთები. მემორიალური ანსამბლი შექმნა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდობამ. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ კავკასიის დამცველები, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაციები. გაიმართა რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა შეხვედრა, ხოლო დღეს ათასობით ადამიანი შეიკრიბა გმირთა ხსოვნის აღსანიშნავ მიტინგზე.

ძეგლთან და მუზეუმთან ანთებულია მარადიული დიდების ცეცხლი. ქალაშვილებმა და ბაბუკებმა საზეიმო ფიცი დადეს წმიდათა წმიდად შეინახონ გმირთა ხსოვნა, გაუფრთხილდნენ მშვიდობას დედამიწაზე.

სასალხო განათლების მუზეუმი

ქუთაისი. (საკ. კორ.). შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წევრებმა და ქალაქის სკოლების მასწავლებლებმა, რომლებმაც ოთხი წლის განმავლობაში შეიგროვეს საზოგადოებრივ საწყისებზე სახალხო განათლების მუზეუმის შესაქმნელად.

ეს კარგი საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნა სახალხო განათლების მუზეუმი, რომლის ფონდში ბევრი საინტერესო დოკუმენტია წარმოდგენილი ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოში სახალხო განათლების მდგომარეობაზე, მის წარსულსა და აწმყოზე.

თ. დ. ლობჟანიძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **თევდორე დომენტის-ძე ლობჟანიძემ** ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საქონლეწარმოება და ღირებულების კანონი მრავალწყობიან საბჭოთა ეკონომიკაში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა თ. დ. ლობჟანიძისათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ბალეტი

საოპერო საგასტროლო აფიშასთან

ერთ თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სეზონი გაიხსნა ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. ამ მოკლე ხანში თეატრმა მაყურებელს ბევრი საინტერესო სპექტაკლი უჩვენა.

თბილისელები დიდი სიამოვნებით შეხვდნენ ჩვენს საყვარელ მომღერალს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ზურაბ ანჯაფარიძეს. ზურაბი ახლო მომავალში კვლავ გაგვახარებს თავისი ხელოვნებით. დიდხანს დაგვამახსოვრდება სახელმოხვეჭილი მოცეკვავეების მ. მაძისიმოვას და ვ. ვასილიევის შესანიშნავი ცეკვები. მათი განმეორებითი გასტროლები შედგება მომავალი წლის დასაწყისში. ახალგაზრდა მომღერლის ვ. ანისიმოვის ძლიერმა ხმამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა როგორც „სევილიელ დალაქში“ ისე „რიგოლეტოში“. ოპერებში „ტრავიატასა“ და „ჩიო-ჩიო-სანში“ გამოვიდა უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი (სოფია, მოსკოვი, ტოკიო) და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩიო-ჩიო-სანის ტიტულის ფლობელი ლამარა ჰყონია.

ოქტომბრის ბოლოს გასტროლებს დაიწყებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ბარიტონი, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტი ივრი მაზუროვი. მისი მონაწილეობით სპექტაკლები მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობს.

იგი ჩვენს სცენაზე ორ სპექტაკლში იმღერებს. ეს არის „ევგენი ონეგინი“ (ონეგინი) და „სევილიელი დალაქი“ (ფიგარო).

სულ ახლო მომავალში გვიწვევენ ვსულიმ მაგომაევი.

დიდ ინტერესს იწვევს მეტროპოლიტენ ოპერის (აშშ) წამყვანი სოლისტის ელეონორა როსის გასტროლები.

ნოემბერში „ჩიო-ჩიო-სანში“ და „ტოსკაში“ გამოვა გამოჩენილი კანადელი მომღერალი მირეილი ტაესა (სოპრანო). ჩვენთან იმღერებს აგრეთვე ესტონეთის ოპერის ნიჭიერი წარმომადგენელი — ტენორი ბენდრიხ კრუში, რომელიც ორ წელიწადს სწავლობდა იტალიაში.

არც ბალეტის მოყვარულები დაგვრჩებიან უყურადღებოდ.

ლენინგრადის ჩამოვლენენ ნინო ტიმოფეევა და მიხეილ ლავროვსკი—საბჭოთა ბალეტის წამყვანი სოლისტები დიდი თეატრიდან. აღსანიშნავია, რომ მიხეილ ლავროვსკის დედა არის წარსულში სახელგანთქმული მოცეკვავე ლ. ჩიკვაიძე. გვესტუმრებიან ლენინგრადის ოპერის თეატრის ბალეტის სოლისტები ვ. სოლოვიოვი და ნ. ფედჩენკო და სხვ.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ინტენსიურად მუშაობს სპექტაკლების დადგმაზე. ნოემბერში მოსწავლეები მიიღებენ კარგ საჩუქარს. ეს არის კომპოზიტორ ა. ბეჭვინს ოპერა „ნორჩი მებაღეების“ პრემიერა. სპექტაკლის დამდგმელ ჯგუფში არიან რეჟისორი ჯემალ ანჯაფარიძე, დირიჟორი დიდიმ მირცხულავა და მხატვარი ვანო ასპურავა.

ბალეტმეისტერი გუნლაფ დავითაშვილი მუშაობს ბალეტის კოლექტივთან. მისი საბალეტო სპექტაკლი იქნება: ჩაიკოვსკის სიმფონიური სურათი „რომეო და ჯულიეტას თემაზე“, რიმსკი-კორსაკოვის „კაპრიჩიო ესპანურ თემაზე“, ბახის „პასაკალია“ და გ. სოგეს „კომედიანტები“.

თეატრის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი აფიშა იყოს საინტერესო, არ მოვაკლოთ ჩვენს მომთხოვნ მაყურებელს მაღალმხატვრული საოპერო და საბალეტო სპექტაკლები.

რ. მაჩაიძე.
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის კომკავშირელებმა სწავლაში მოპოვებული წარმატებებით აღნიშნეს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავი. სურათზე ხედავთ სკოლის აქტივისტ კომკავშირელ მოსწავლეებს (მარცხნიდან) ლიანა მამალაძეს, ქეთევან ცომაიას, რამაზ ჩიხლაძეს, ლიანა შერვაშიძეს, გია ცხაკაიას და ია ბალავაძეს. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენს ეკრანებზე

ფრე ოდესაში

თბილისის დინამოელებს კიდევ ერთი გასვლითი თამაში ჰქონდათ, ამჯერად კვირას ოდესაში „ჩერნომორეცთან“.

რა თქმა უნდა, ოდესელ ფეხბურთელებს რეკანში სწყუროდათ და მოქმედებდნენ აგრესიულად, მაგრამ დინამოელებმა უვნებელყვეს თავიანთი კარი და კონტრთამაშითვე უპასუხეს.

ერთ-ერთი იერიშისას წინ გაიჭრა ხურცილავა, და შორი მანძილიდან მისთვის ჩვეული სიძლიერით დაარტყა მეტოქის კარში. ოდესელთა მეკარემ ძლივს შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ იქვე აღმოჩნდა გავაშელი და ანგარიში გახსნა.

ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა პირველ ტაიმში. მეორე ნახევარში მასპინძლები ძალთა მთელი მობილიზებით იბრძოდნენ წონასწორობის აღდგენისათვის და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. 68-ე წუთზე **ვარბამ** საპასუხო ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში.

ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა, მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ — შრაშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჰოსონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, სიჰინავა, გავაშელი, ნოდია, მესხი.

ეროვნული ლიგა

„ა“ კლასის მეორე ჯგუფში

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

თბილისში თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და მაგნიტოგორსკის „მეტალურგის“ გუნდები. ლოკომოტიველები აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0

შუაკოვარი გამოდგა მატჩი ბათუმში, სადაც ერომანეთის შეხვდნენ იოშკარ-ოლას „სპარტაკისა“ და ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. მეტოქეებმა 4 ბურთი გაიტანეს, მაგრამ გამარჯვება არც ერთს არ ხვდა — ფრე 2:2.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 5 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ა.)	37	21	14	2	56-23	56
„სპარტაკი“	36	20	9	7	60-40	49
„ტორპედო“ (მ.)	36	18	12	6	57-29	48
ცსკა	36	19	9	8	48-30	47
„დინამო“ (მ.)	37	18	9	10	57-32	45
„დინამო“ (თბ.)	36	15	12	9	44-25	42
„დინამო“ (მნ.)	35	16	10	9	45-32	42
„ჩერნომორეცი“	35	11	15	9	45-42	37
„ლოკომოტივი“	36	10	16	10	34-37	36
„ნეფტჩი“	36	12	11	13	38-45	35
„ზარია“	37	10	13	14	23-39	33
„ზენიტი“	36	9	14	13	31-45	32
„შახტიორი“	36	9	13	14	38-41	31
სკა	36	10	10	16	38-46	30
„კაირატი“	36	11	8	17	31-40	30
„კრ. სოვეტოვი“	36	9	11	16	22-37	29
„არარატი“	36	10	8	18	32-45	28
„პახტაკორი“	36	9	9	18	39-58	27
„ტორპედო“ (ქ.)	37	8	10	19	26-48	26
„დინამო“ (ყირ.)	36	5	9	22	23-53	19

ეროვნული ლიგა

მატჩები, გოლები, ავტორები

კვირასა და ორშაბათს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის.

კიევის დინამოელთათვის კვირის მატჩს ერევნის „არარატთან“ არსებითი მხიბლველობა არ ჰქონდა, ამიტომ ისინი ძირითადად დუბლშემდგენლობით თამაშობდნენ. მატჩს დიდი ინტერესი არ გამოუწვევია და დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბაკოს „ნეფტჩი“ მოსკოვს ეწვია და პაექრობა ჰქონდა დედაქალაქის „დინამოსთან“. პირველ ტაიმში უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მეორეში — სტუმრებს, მაგრამ არც ერთ მხარეს ბურთი არ გუტანია — ფრე.

ბინსკში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. აქ მატჩის ბედი მინსკელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომლის ავტორი **სახაროვი** იყო.

ჩეხოვოში ფინინმთან კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა ალმა-ატის „კაირატმა“, საკუთარ მოედანზე მან მოუგო დონეცკის „შახტიორს“ 3:1. ალმაატელებიდან სამივე გოლის ავტორი იყო ცენტრფორვარდი **აბგოლცი.**

აუსტაინდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა ტაშკენტის „პახტაკორმა“ თავის მოედანზე დაამარცხა ლუგანსკის „ზარია“ 1:0. ეს ერთადერთი ბურთი თამაშის უკანასკნელ წუთზე გაიტანა **კრასნიცკიმ.**

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ „ზენიტი“ და ქუთაისის „ტორპედო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ჩინებულად ითამაშა მეკარე **კოტრიკაძემ,** რომელმაც არაერთხელ იხსნა კარი გოლისაგან.

გუშინ ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი —მოსკოვის „სპარტაკი“ კუბებშევში თამაშობდა „კილინა სოვეტოვის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა 2:0.

მოსკოვში პაექრობა ჰქონდათ დედაქალაქის გუნდებს — „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“. წარმატება „ტორპედოს“ ხვდა 1:0.

„ა“ კლასის მეორე ჯგუფში

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

თბილისში თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და მაგნიტოგორსკის „მეტალურგის“ გუნდები. ლოკომოტიველები აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0

შუაკოვარი გამოდგა მატჩი ბათუმში, სადაც ერომანეთს შეხვდნენ იოშკარ-ოლას „სპარტაკისა“ და ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. მეტოქეებმა 4 ბურთი გაიტანეს, მაგრამ გამარჯვება არც ერთს არ ხვდა — ფრე 2:2.

ფეხბურთი

თასი „დილამ“ მოიპოვა

სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შაშბულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება ფეხბურთში პოპულარული ასპარეზობა გახდა. ინტერესს ამ შეჯიბრებისადმი ისიც ზრდის, რომ მასში მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის გუნდები.

წლევანდელი ტურნირის ფინალში გავიდნენ გორის „დილა“ და ლანჩხუთის „გურია“. მათი გადამწყვეტი მატჩი შედგა 3 ნოემბერს თბილისის „სინთეზის“ სტადიონზე და დამთავრდა გორელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

გორის „დილას“ თასი გადაეცა.

სიუპრიზები თბილისის კორტებზე

ბერირას თბილისის „დინამოს“ კორტებზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში.

მართალია, ჩემპიონები წყვილებში ჯერ კიდევ წინადაც გამოვლინდნენ, მაგრამ ყველაზე სანსერეულად მაინც ერთეულთა ფინალებს თვლიდნენ. ეს შეხვედრები კი კვირას შედგა.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონის ა. მეტრეველის, აგრეთვე ბ. ბაკშეევას მიღწევებმა არა მარტო სანინაო შეხვედრებში, არამედ დიდ საერთაშორისო ტურნირებში საერთო აღიარება ჰპოვა, მაგრამ თბილისში მათ ბევრი ვერაფერით გამოიჩინეს თავი. შეიძლება ეს იმითაც აიხსნას, რომ ორივე ჩოგბურთელი ტრავმის შემდეგ არ იყვნენ მათთვის ჩვეულ სპორტულ ფორმაში, მაგრამ ა. მეტრეველის ასეთ დამარცხებას მისთვის კარგად ცნობილ მეტოქესთან —ო. ლეონუსთან არავინ მოელოდა. ამაზე მეტყველებს მატჩის ანგარიში 6:0, 6:2, 6:3. როგორც ვხედავთ, ო. ლეონუსს არ გასჭირვებია ბრძოლა ა. მეტრეველთან და ჩემპიონობაც დამსახურებულად მოიპოვა. ამ ტიტულს იგი მეოთხეჯერ ფლობს.

არც ბ. ბაკშეევას დასდგომია კარგი დღე ფინალურ მატჩში ტალინელ სტუდენტ ტ. კივინსთან. მართალია, მან მოიგო პირველი პარტია 6:3, მაგრამ მომდევნო ორი წააგო 3:6, 1:6 ჩემპიონობა ტ. კივიმ მოიპოვა.

შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ოქროს მედლები დაიმსახურეს ო. ლეონუსმა და ბ. ბაკშეევამ, რომლებმაც დაამარცხეს ე. მორუზოვა და ა. მეტრეველი 6:4, 6:2.

სამი ტური დარჩა

ათი ტური გათამაშდა ლუგანოს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს საბჭოთა გროსმაისტერებმა და მას არავის უთმობენ.

მეცხრე ტურში საბჭოთა ნაკრებს პაექრობა ჰქონდა პოლონელ მოჭადრაკეებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0. მსოფლიოს ჩემპიონმა **ტ. პეტროსიანმა** დაამარცხა **ბ. ბედნარსკი, ბ. სპასკიმ—ვ. შმიდტი, ე. გელერმა — ი. ადამსკი** და მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ვ. სმისლოვმა — რ. გრაბუევსკი.**

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრა. შესვენებისათვის ანგარიში იყო 2:1 (ერთი პარტია გადადებულია) იუგოსლავთა სასარგებლოდ. ამ მატჩში **ს. გლიგორიჩმა** დაამარცხა **ლ. პორტიში.**

ეი მეცხრე ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები რუმინეთი—არგენტინა 2:2, ბულგარეთი—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 1,5:0,5 (2 პარტია გადადებულია), ამერიკის შეერთებული შტატები-ჩეხოსლოვაკია 1,5:1,5 (1). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-კანადა 1,5:0,5 (2), ფილიპინები-დანია 1,5:0,5 (2).

მეათე ტურში საბჭოთა გროსმაისტერები შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს. ჯერჯერობით ანგარიშია 1,5:0,5 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ. **პეტროსიანმა** დაამარცხა **ულმანი, სპასკი** და **მალიხი** ყაიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო.

ათი ტურის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს 30 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. მეორე და მესამე ადგილზე მყოფი იუგოსლავიისა და ბულგარეთის გუნდები ლიდერს თვალსაჩინოდ ჩამორჩებიან.

METRONEX

პოლონეთის საგარეო ვაჭრობის საწარმო „მეტრონექსი“ ქ. თბილისში ატარებს სპეციალიზებულ გამოფენას

„პოლონეთის სელსაწყოდ-მშენებლობა და გამოთვლითი ტექნიკა“

გამოფენა ღია 8 ნოემბრამდე ბარათაშვილის სახელობის ხიდის საგამოფენო დარბაზში.

სამუშაო საათები: 11 საათიდან 14 საათამდე — სპეციალისტებისა და ექსკურსანტებისათვის; 14 საათიდან 19 საათამდე — ყველა მსურველთათვის.

„მეტრონექსი“ გელით გამოფენაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

თბილისის № 36 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის კვალიფიციური მჭედლებისა, მრთველებისა და მჩითავების სპეციალობებზე

სასწავლებელში მიიღებიან 16-25 წლის ქალაშვილები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო და არასრული საშუალო სკოლა. სწავლება წარმოებს ქართულ და რუსულ სექტორზე.

სწავლის ხანგრძლივობა საშუალო დამთავრებულთათვის 1 წელია, ხოლო არასრული საშუალო სკოლადამთავრებულთათვის — 18 თვე. სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟად. სასწავლებელი უზრუნველყოფილია საერთო ბინით.

სასწავლებელში ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით, ამასთანავე პრაქტიკული მუშაობის დროს გამოშუშავებული თანხის 33 პროცენტს.

განცხადება შეტანილი უნდა იქნეს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ოთხი ცალი ფოტოსურათი 3X4, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 7. პასპორტი წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად.

საშუალო სკოლადამთავრებულთ, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს და იმუშავებენ თავისი სპეციალობის მიხედვით, უფლება აქვთ საღამოს დასწრებულზე და დაესწრებელ ინსტიტუტში ჩაირიცხონ კონკურსგარეშე.

აგრეთვე საშუალო სკოლადამთავრებულთ, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, უფლება ენიჭებათ იმავე წელს ჩაბარონ მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში პროფილის მიხედვით დღის დასწრებულზე.

მეცადინეობა დაიწყება 15 ნოემბერს და 1 დეკემბერს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაიონი, ლენინის ქ. № 69 (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე). ტელეფონი: 93-90-67; 93-90-50. თბილისს № 36 პროფტექნიკური სასწავლებელი. ავტობუსი №№ 2, 5, 50, 40; ტროლეიბუსი №№ 6, 4.

დირექცია

რადიო

6 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — დ. თორაძე. ფრაგმენტები ბალეტ „გორდადან“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.40 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.15 — „ჩვენი ნობათი ოქტომბერს“, 10.35 — მ. გლინკა. ნაწყვეტები ოპერებიდან, 11.05 — ა. ჩიმაკაძე. კანტატა „ქართლის გული“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. რეპორტაჟი „ჩვენი ახალი სკოლა“, 12.45 — ა. ბაბაჯანიანი. ეკვსი მუსიკალური სურათი ფორტეპიანოსათვის, 13.30 — „ბაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ა. ბალანჩივაძე. მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 14.00 — „ჩემი სამშობლო“. მუსიკალური რადიოკომპოზიცია (მოსკოვი), 15.00 — „ლენინი ოქტომბრის შტაბში“. რადიოკომპოზიცია (მოსკოვი), 15.40 — რუსული კლასიკური მუსიკა (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, შეგობრებო“!, 17.55 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან (მოსკოვი), 21.55 — ზ. ვოსკრესენსკაია. „სახლი კლდეზე“. რადიოდადგმა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები. 23.30 — პოპულარული კამერული მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

5 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრუბადური (მე-6 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მოკვეთილი (დღისით), მზიანი ღამე (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ბაბაჯანის ქორწილი (დღისით), სამღერა ტყეში (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნუ გეჩქარებათ სიცილი (№ 25 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), დარისპანის გასაჭირი, უბედურება (№ 51 აბონ. 6 ს.).

ტელევიზია

5 ნოემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.30 — „თეატრალური შეხვედრები“ (4 ნოემბრის გადაცემის გამეორება), გადმოცემა მოსკოვიდან), 12.55 — მხატვრული ფილმი „ოქტომბერი“, 17.30 — გადაცემათა პროგრამა, 17.35 — ლექცია პოლიტეკონომიის შემსწავლელთათვის, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები და რეკლამა, 18.30 — ბავშვებისათვის: „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.20 — გადაცემა „საოქტომბრო ბატაკი“, 19.35 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებები. 20.05 — სპორტული პროგრამა, 20.25 — კინონარკვევი, 20.45 — ეთერშია „ახალგაზრდობა“, 21.10 — მხატვრული ფილმი „ოქტომბერი“, 22.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

კინო

5 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — **დიდი პრიზი** (I, II სერია), ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ოფიციერთა სახლი — **ვარგისია არასამწყობროსთვის,** საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი, სპარტაკი, გაზაფხული, კოლხიდა (საზაფხულო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული — **ოქროს საუფრე** (I სერია), კოლხიდა (საზაფხულო) — **ფარი და მახვილი** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **ჩემი სიცოცხლე ხარ** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი — **სალთან მეფის ზღაპარი,** 26 კომისრის სახელობის II დარბაზი) — **მოუხელთებელი შურისმაძიებელნი,** კომკავშირელი — **მუმუ.**

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნი